


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, ბედობიც ბეჭდუ-
ფუძი სიფყვავა, ტყუილებით და ჭიბბით ბუბ-
თის გაფანა ყველა უკადრისბაჭე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 22 მარტი. 2017 წ. №61 (8198), გამოცემის 99-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

პანდალიში დაბრუნდა,

სიგუვიდის გეგინოდით!

**გუგინ ქართული ჟურნალისტიკის
დღე იყო!**



გეგინ

ხელისუფლებას

ყოველთვის დაპყრობაში!

საბარძეველს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშ-
ვილმა მედიის წარმომადგენლებს ქართული ჟურნალის-
ტიკის დღე მიულოცა და სახელმწიფოს დემოკრატიუ-
ლი განვითარების გზაზე მედიის განსაკუთრებულ მნიშ-
ვნელობას გაუსვა ხაზი. როგორც პრეზიდენტმა აღნიშ-
ნა, იგი ყოველთვის დაეხმარება მედიას გაძლიერებასა
და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი საპასუხისმ-
გებლო საქმიანობის შესრულების პროცესში.

21 მარტს მოკრძალვულად აღინიშნა ქარ-
თული ჟურნალისტიკის დღე.

საქართველოს ჟურნალისტიკა შემოქმედებით კავ-
შირში კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ ძველი და ახალი
თაობის ჟურნალისტები. კავშირის ახალი თავმჯდო-
მარების მარინე თექთუმანიძისა და მარინე გიგინე-
იშვილის ინიციატივით ეს საზეიმო შეხვედრა უფრო
მომავლის მთავარ საზრუნავზე გულწრფელ საუბარს
მიეძღვნა, ვიდრე უსაგნო ქება-დიდებასა და ჩინ-მედ-
ლების ჩამორიგებას... შემოქმედებითი კავშირის გამ-
გეობის ნევერებმა შეხვედრაზე რამდენიმე საქმიანი წი-
ნადადება წამოაყენეს. ბეჭდვითი მედიის, ტელევიზი-
ისა და რადიოს, საინფორმაციო სააგენტოების ჟურ-
ნალისტები ამ წინადადებებს ერთხმად შეუერთდნენ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ კავშირის ხელმძღვა-
ნელობა ამ ახალ, ერისა და ქვეყნის კეთილდღეობის-
თვის, თვითონ ჟურნალისტურ ოჯახში შექმნილი
მძიმე ატმოსფეროს გაჯანსაღებისთვის აუცილებელ
წინადადებებს პრაქტიკულად განახორციელებს.

იცივდება
საყურადღებო

რუსეთ-თურქეთი დასავლეთის პირისპირ და მათ შორის მოყოლილი საქართველო



ხათუნა ხოფარია:
**პრეზიდენტი
სდილოვს,
სათავეში
ჩაუდგას
ოპოზიციურ ფრთას**

„პაემანი მთაწმინდაზე“
„ვარ ჩემი ქვეყნის
გულდამწვარი ჭირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავალით
მსურს გავიხარო.
თუ საქართველო არ იქნება
თავისუფალი,
დე, მტვრად ქცეულიც
დამენახოს მთელი სამყარო!“

კობა იბედაშვილის «ჩემი საუკუნე»

კობა იბედაშვილი (1935) მწერალი,
პუბლიცისტი, სახელმწიფო პრემიის
ლაურეატი:

„გასრულდა ჩემი საუკუნე, წარსუ-
ლის, ანგოსა და მომავლის სუბიექ-
ტური ნაზავი. გასრულდა ეს ნიგნიც,
იმ ყველაფრის ფრაგმენტული ანარქი-
ლი, რაც ქრონოლოგიის სრული აღრე-
ვით მხოლოდ ჩემს ცნობიერსა და
არაცნობიერში არსებობს. აქ და
ახლა“ ყველაფერი ერთად არის, ისიც,
რაც საუკუნეებს იქით მოხდა, ისიც,
რაც წამის წინ იყო და ისიც, რაც
წამის შემდეგ მოხდება ან მინდა, რომ
მოხდეს. მხოლოდ ჩემს მერე იქცევა
ეს ყველაფერი ერთ უნაპირო და
უსაზღვრო წარსულად“.

ქობა იბედაშვილი
ჩემი საუკუნე

ქობა
იბედაშვილი
ჩემი საუკუნე

ქობა იბედაშვილი - 1460
აპაი და ვაჟი. ილიას გეგლეგობა. იბედა-
- ვაჟის წინაპარი. საქართველოს დემო-
კრატიული რესპუბლიკა. რუსეთის შიარ-
საქართველოს ოპოზიციის. 1921. 1924.
1937. 1951. 1956. ქართული ელი-
ტის განადგურება. პაპაიანი - იოსებ
იბედაშვილი. სტალინი. სრულყოფილი.
1956. 1978 - 365, გეგლეგი, სარ-
გუნა. 1989. ზვიადი - 1990.
1991 - 1992 სემელოვ გა-
დატრიალება. რუსეთი საქარ-
თელის ომი. ელვარდ შე-
პარია. 2003 - კარის
გადატრიალება.

გამომცემლობა
ინტელექტი

6-7



სოფ გელდი, ქაო პარტიკალიზაციო!

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მარნეულში იმყოფებოდა. გიორგი მარგველაშვილმა მარნეულში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს სიტყვით მიმართა და ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული მიულოცა. მარგველაშვილის თქმით, აზერბაიჯანული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეები ქართული, ერთიანი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი შემადგენელი არიან.

„გილოცავთ და გისურვებთ ძალიან ბევრ წარმატებას. ყოველ წელს მიხარია, როცა ჩამოვდივარ აქ და ვხედავ, როგორი განახლებულია მარნეული. თქვენი შრომით, თქვენი ღვაწლით, დაუღალავი მუშაობით კიდევ უფრო ლამაზს ხდით თქვენს ქალაქს. მინდა, მადლობა გითხრათ იმ მუშაობისა და თავდადებისთვის, რომლითაც თქვენ აძლიერებთ ჩვენს ერთიან სამშობლოს. მინდა, მადლობა გითხრათ იმ ჩართულობისთვის, რომლითაც აძლიერებთ ჩვენს საზოგადოებას. აზერბაიჯანული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეები არიან მნიშვნელოვანი შემადგენელი ქართული, ერთიანი სახელმწიფოსი და ერთიანი სივრცის. სულ რამდენიმე დღის წინააღმდეგობით ბაქოდან, სადაც ვხვდებოდი ჩვენი მოძმე სახელმწიფოს ხელმძღვანელებს და ვსაუბრობდით თუ როგორ უნდა გავაძლიეროთ ერთად აზერბაიჯანი და საქართველო. აზერბაიჯანმა და საქართველომ როგორ უნდა მისცეს კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობა, უზრუნველყოს მშვიდობა და განვითარება. გულითადად გილოცავთ დღევანდელ დღეს, გისურვებთ გამარჯვებას, წარმატებას, კიდევ მეტ აღმშენებლობას, მეტ დამშვენებას თქვენი მშვენიერი რაიონის და ქალაქის“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პრეზიდენტის შენიშვნებს მხარი არ დაუჭირა

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნებს დაწინააღმდეგებს მხარი არ დაუჭირა.

„ჩვენ ვერ მოვისმინეთ არგუმენტი, რომელიც პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების გაზიარებაში დაგვარწმუნებდა. ყველაფერი მიდის ნდობა-არნდობის საკითხთან. გაუგებარია და ვერ ვხედავ ლოგიკას, თუ რატომ არ შეიძლება იყოს ოპერატიული-ტექნიკური სააგენტო აღმასრულებელი ხელისუფლების რომე-



ლიმე რგოლში“, — განაცხადა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ.

პრეზიდენტის ვარიანტს მხარდაჭერა კომიტეტის წევრმა ორმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა გამოუცხადა. გიორგი მარგველაშვილს პარლამენტისთვის აქვს ორი ძირითადი შეთავაზება: პირველი ითვალისწინებს იმას, რომ ტექნიკურ-ოპერატიული სააგენტო იყოს პირდაპირ პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, მეორე წინადადებაა ის, რომ სააგენტომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება უნდა უზრუნველყოს ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებისთვის სამართლიანი ანაზღაურების საფუძველზე.

ენდობა თუ არა პრეზიდენტი საპარლამენტო უსაფრთხოების სამსახურს?

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ანა დოლიძე, ე.წ. ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს აცნობს.

კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ ანა დოლიძეს ჰკითხა — ენდობა თუ არა საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს უსაფრთხოების სამსახურს, ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. უმრავლესობის წევრმა ანრი ოხანაშვილმა კი ანა დოლიძეს მიმართა კითხვით, ენდობა თუ არა საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს და საერთოდ, ცნობს თუ არა პრეზიდენტი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს.

აღნიშნულს გამოეხმაურა საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატი ოთარ კახიძე და აღნიშნა, რომ ამ კონტექსტში საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა უნდა უპასუხოთ კითხვას, ისინი პრემიერ-მინისტრს უფრო ენდობიან თუ სუს-ს.

„ჩვენი მოტივირებული შენიშვნები საკონსტიტუციო სასამართლოს ჩარჩოებს მიჰყვება. ნდობა-არნდობა კი სწორედ ემოციური ფაქტორია. ამიტომაც ეს საკითხი უნდა გამოვირიცხოთ“, — აღნიშნა დოლიძემ.



ქაბ ბახალია: თუ ვინმეს უნდა რომანტიკული კანონები ვნაყოფი, ხალისუფლება ასეთი უაასუსისებებლო და მოკიდებულია პერ პრეზენტს



„მე არ მესმის ამ ლოგიკის არსი, რასაც გვთავაზობს პრეზიდენტი, იმიტომ, რომ ეს ისედაც იგულისხმება, რომ არის პრემიერ-მინისტრის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ქვეშ. თუ ჩვენ გვინდა, რომ მოვშალოთ ყველა დაცვის ზღვარი და მასშიმალურად გავაშვივლოთ ჩვენი სახელმწიფო ინსტიტუტები, წავართვათ მექანიზმები და რომანტიკული კანონები ვწეროთ, ხელისუფლება ასეთ უპასუსისებებლო და მოკიდებულს ვერ აჩვენებს. ეს იქნება ძალიან სასიფთაო ნაბიჯები განსაკუთრებით იმ გამონაკლისების პირობებში, რომელშიც დღეს თანამედროვე სამყარო არსებობს“, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

რაც უფრო ინტეგრირებული პარტი, უფრო დასული პარტი

ისტორიულად თქვენს მხარეს ვართ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რაც უფრო ინტეგრირებული ვართ, უფრო დასული ვართ, — ამის შესახებ საქართველოში ვიზიტით მყოფმა ესტონეთის პარლამენტის თავმჯდომარე ეიკი ნესტორმა განაცხადა.

„ჩვენ, ესტონეთში სრულად თქვენს მხარეს ვართ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რაც უფრო ინტეგრირებული ვართ, უფრო დასული ვართ. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ევროკავშირის და ნატო-ს წევრობა. ევროკავშირში გაწევრიანება იყო ყველაზე პოპულარული პროექტი, რომლის წარმოდგენაც კი შეეძლოთ ესტონელ პოლიტიკოსებს“, — განაცხადა ეიკი ნესტორმა. მან ასევე აღნიშნა, რომ 2017 წლის მეორე ნახევარში



ესტონეთი ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება. სწორედ ამ პერიოდში არის დაგეგმილი აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი და ეიკი ნესტორმა ამ მხრივ საქართველოსთან წარმატებული თანამშრომლობისა და ახალი იდეების გაყვლების შესაძლებლობაზე ისაუბრა.

„ვფიქრობთ, რომ თქვენს ქვეყანასთან თანამშრომლობა ძალიან წარმატებული იქნება. ამ სამიტზე ბევრ ახალ იდეას წარმოვადგენთ. წარმატებებს ვუსურვებთ საქართველოს“, — აღნიშნა ეიკი ნესტორმა.

აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა პრემიერ-მინისტრის ვიზიტზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის ფარგლებშიც გაიმართება მაღალი დონის შეხვედრები და ასევე, პლენარული სესია სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში

— ამის შესახებ აშშ-ში საქართველოს ელჩმა დავით ბაქრაძემ განაცხადა.

„აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა პრემიერ-მინისტრის ვიზიტზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის ფარგლებშიც გაიმართება მაღალი დონის შეხვედრები და ასევე, პლენარული სესია სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში“, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ და დასძინა, რომ ვიზიტის თარიღები მოგვიანებით გახდება ცნობილი.



საქართველოს პარლამენტს შიდა ქვეყნის საპარლამენტო დელეგაციის წევრები სტუმრობენ

ნორდის-ბალტიური რვიანის წევრი ქვეყნების პარლამენტების თავმჯდომარეები და ვიცე-სპიკერები ირაკლი კობახიძეს შეხვდნენ.

„მათ გამოხატეს დიდი მხარდაჭერა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. ასევე, მოგვილოცეს ვიზალიზირებული იდეების და კავშირებით პოზიტიურად დასრულებული პროცესი და ვიმსჯელებთ თუ როგორ შეიძლება კიდევ უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლოთ ამ ქვეყნების პარლამენტებთან“, — განაცხადა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფო ქაცარავამ. დელეგაციის წევრები გორში იმყოფებოდნენ. მოინახულეს საოკუპაციო ზოლიც. სამდღიანი ვიზიტი დღეს დასრულდება.

პეტარანების პერსონალური მონაცემები უსსოურ კომპანიას ირაკლი შიხიაშვილმა გადასცა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის მიხედვით, ვეტერანთა სამსახურის ყოფილი უფროსმა ირაკლი შიხიაშვილმა 13 463 ვეტერანის პერსონალური მონაცემები 2016 წელს ნიდერლანდების სამეფოში რეგისტრირებულ „ფორტუნა პოლიდინგს“ გადასცა.

აუდიტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2015 წლის 21 ივლისს საჯარო რეესტრში რეგისტრირდება შპს „ფორჯიან ფორ ვეტერანსი“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია „ფორტუნაპოლიდინგი“. საჯარო რეესტრში კომპანიის რეგისტრაციიდან სამი დღის შემდეგ, კომპანიასა და ვეტერანთა სამსახურს შორის ფორმდება თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს „ვეტერანთა კლუბის“ დაფუძნებას და მართვას. კლუბს ვეტერანებისთვის უნდა დაეფინანსებინა სხვადასხვა აქტივობა, რაც აუდიტის სამსახურის დასკვნიდან ირკვევა, რომ არ განხორციელებულა, თუმცა კომპანიის ხელში მაინც აღმოჩნდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ათასობით ვეტერანის პერსონალური მონაცემები. საკითხს უკვე სწავლობს პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი.

„საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აქციის 0,7% ბაიყიდა

Reuters-ის ცნობით, თითო ფასიანი ქაღალდი BGEO-მ („საქართველოს ბანკის ჯგუფი“) 4,45 აშშ დოლარად გაასხვისა. შედეგად კი 2,4 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო. BGEO-ს საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად კი, ფასიანი ქაღალდები „ABC ფარმაცის“ ყოფილი აქციონერებმა იყიდეს.

„ABC ფარმაცის“ საკუთრებაში არსებული „ფარმადეპოს“ აფთიაქები ცოტა ხნის წინათ სწორედ „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფმა“ შეიძინა.

გვაქვს საპარტიო მისია - ხელი შევუწყოთ ერთმანეთს!

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე განცხადებას აქვეყნებს და აცხადებს, რომ პოლიტიკოსებმა უნდა შეუქმნან გარანტია დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს, რათა მათ ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები.

„დღეს მსოფლიო დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ეს არის დღე, რომელიც კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ჩვენს გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც ჩვენი საზოგადოების თანასწორი, სრულფასოვანი და ღირსეული წევრები არიან. მათ აქვთ პოტენციალი და შეუძლიათ საზოგადოების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.“

ჩვენ, ყველას ერთად – როგორც ამ საზოგადოების წევრებს, გვაქვს საპარტიო მისია, ხელი შევუწყოთ ერთმანეთს და უზრუნველვყოთ დაუნის სინდრომით მცხოვრები პირების თანასწორი ჩართულობა და მონაწილეობა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები და



განსაკუთრებით, პოლიტიკოსები, გარანტია უნდა ვიყოთ იმისა, რომ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს შევუქმნათ თანაბარი შესაძლებლობები, რათა მათ შეძლონ ისარგებლონ ყველა იმ საზოგადოებრივი სიკეთით, რასაც სახელმწიფო ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს სთავაზობს. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ მათ ოჯახებს და რაც ძალიან მნიშვნელოვანია – უნდა უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და არ უნდა დავუშვათ, არც ერთი სახით, სტერეოტიპული მიდგომა და დისკრიმინაცია ნებისმიერ დონეზე. ჩვენ თანასწორი ვართ!

ჩვენ, პოლიტიკოსები, თქვენი მეგობრები ვართ. ჩემი და ჩემი კოლეგების სახელით, კიდევ ერთხელ, ხმამაღლა ვიტყვი, რომ მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს!“, – აცხადებს ირაკლი კობახიძე.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს ახალი მოადგილეები ჰყავს

20 მარტს საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომაზე საკადრო გადაწყვეტილებები მიიღეს.

ფრაქციის თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ, ფრაქციის წევრებს, თავმჯდომარის ახალ მოადგილეებად პარლამენტის



წევრების: ბექა ოდიშარიას, დავით მათიკაშვილისა და ირაკლი ტრიპოლსკის კანდიდატურები წარუდგინა. ფრაქციის წევრთა გადამწყვეტილებით, წარმოდგენილი კანდიდატურები, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეებად ერთხმად აირჩიეს.

როგორ ვცხოვრობთ?

გაზაფხულის მოსვლას ეკონომიკური სტატისტიკის ანალიტიკოსები და დარგის სპეციალისტები წლის პირველი, ერთგვარად, „კბილის მოსასინჯი“ გადახედვით იწყებენ, რასაც ბოლო დროს ლარის გამყარების პირობებში ფასების საყოველთაო მატების ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ამ მხრივ, როგორც ჩანს, მთავარი საკვანძო მომენტი ის არის, რომ ინფლაციის დონე სახელმწიფო ბიუჯეტის ინდიკატორ მაჩვენებელს უსწრებს: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით მისმა ინდექსმა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მარტის დადგომისას 5,5 პროცენტით შეადგინა. ეს, ცხადია, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, სამომხმარებლო ფასების ზრდის შედეგია. არადა, იმის გათვალისწინებით, რომ წინ, დიდი ალბათობით, სამომხმარებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურების (უწინარესადაც, ენერჯო-შემცველებზე) ტარიფების ზრდას ველოდებით, წლებანდელი რეალური ინფლაციური მოლოდინი აშკარად „განგაშის ფერებშია“ შეფერილი.

ბოლო დროს მსოფლიოში, გენბავთ „ახლო საზღვარგარეთში“ განვითარებულ მოვლენებს თვალს ნათუცხათევადავად თუ გადავავლებთ, დავინახავთ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის მხოლოდ რამდენიმე რეგიონია აცდენილი, ასე ვთქვათ, „მშვიდთა რევილუციებს“. ესენია, პირველ ყოვლისა, ბალტიისპირეთის უკვე დიდი ხნის ევროკავშირის წევრი ქვეყნები და ბელარუსი, სადაც ერთპიროვნული მმართველი ალექსანდრე ლუკაშენკო აუარება ფსევდოდემოკრატიას და, მით უმეტეს, ჯერ კიდევ საბჭოთარი დროიდან მოყოლებული „პარტმანდატის დიდებულთაგან“ განსხვავებით, საკუთარი ქვეყნის მოსახლეობაზე ჭეშმარიტად ზრუნავს. ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანესია გარემოება, თუ საკუთარი შემოსავლის რა ნაწილის ხარჯა უნევს სურსათის შექმნაზე. ამ მხრივ საქართველოსთვის, როგორც ევროინტეგრაციის გზაზე დიდი მონ-

ინფლაციის „განგაშის“ ელფერი



დომებით მდგარი განვითარებადი ქვეყნისთვის, ეს მაჩვენებელი 50 პროცენტს უახლოვდება. ამის ერთ-ერთი განმარტობებელი გარემოება კი ის გახლავთ, რომ მრავალი წლის მცდელობის მიუხედავად, საქართველო კვლავაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კვების პროდუქტების იმპორტზეა დამოკიდებული. მაგალითისთვის, ვფიქრობთ, იმის აღნიშვნაც კმარა, რომ ჩვენში მოხმარებული ყველა სახეობის ხორცის (საქონლის, ღორის, ცხვრის, ფრინველის, ასევე თევზეულის) ნახევარი და ხორცი 80 პროცენტზე მეტი უცხოეთიდანაა შემოტანილი. თუ ამ გარემოებას ლარის ბოლო წლების 50-პროცენტთან გაუფასურებასაც „ზედ დავაღებთ“, სახსებთ თვალნათლივ დავინახავთ, რომ სურსათის ფასების არანაირ სტაბილურობაზე ოცნებაც კი არ შეიძლება, სამართლიანობა მოითხოვს აუცილებლად ითქვას ისიც, რომ ლარის ზემოაღნიშნული გაუფასურების მაღალი მაჩვენებელი მხოლოდ დოლარის მიმართაა, თორემ ძირითადი სავაჭრო პარტნიო-

ტყის საერთაშორისო დღე

ტყის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ნიკო კეცხოველის პრემია 2017 და კონკურსის „ფოტოსინთეზი“ ფინალური ტური და დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს 23 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს. კონკურსანტებმა ფოტოები თემაზე – „ეს ჩემი ტყეა“ წარმოადგინეს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის გიგლა აგულაშვილის ინიციატივით, სამინისტროს რჩეული სკოლების მოსწავლეებს, გარემოსდაცვითი თემატიკის ვიდეომიმართვისთვის, საგზური საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე გადაეცათ: სურამის №4 სკოლის მოსწავლეები – ოკაცეს კანიონს, ჭიათურის №2 საჯარო სკოლა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს; საირსის (საჩხერის რაიონი) სასულიერო სკოლა-პანსიონის მოსწავლეები კი სათაფლიასა და პრომეთეს მღვიმეებს მოინახულენ. ასევე, მინისტრის ინიციატივით, ჭიათურის №2 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ელენე გოგოლაძე ერთი დღით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის თანამდებობას დაიკავებს.

„მწვანე რეაქცია“ – ასეთი იყო ნიკო კეცხოველის 2017 წლის პრემიის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც, ათასამდე გარემოსდაცვითი ღონისძიება გაიმართა. სასკოლო ინიციატივებმა დაფარა საქართველოს ყველა რეგიონი, მათ შორის, ოკუპირებული აფხაზეთიც. საუკეთესო 100 სკოლა ერთმანეთს ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, თელავის და თბილისის ნახევარფინალურ ტურებში შეხვდა, საიდანაც ფინალისტი სკოლები შეირჩა.

პრემიის გამარჯვებულებმა საჩუქრად სასკოლო-საზოგადოებრივი ცენტრების, ე.წ. „ეკო-ჰაბების“ პროექტები მიიღეს, რომელიც ყველაზე აქტიურ სამსკოლას ყოველგვარი სამუშაო პირობით უზრუნველყოფს. დაჯილდოების ცერემონიას პარტნიორი სახელმწიფო, საერთაშორისო, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



ცენტით. ეს ამბავი კი იყო მოსალოდნელი, მაგრამ ყველანი ერთსულოვნად აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ ეფექტი უფრო „რბილი“ იქნებოდა, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ფულის მასა თითქმის მესამედით მეტი რომ იყოს. თავის მხრივ ფულის მასის ზრდა პირდაპირ კავშირშია რეფინანსირების სესხების მოცულობის მატებასთან, რომელიც ერთი წლის მანძილზე, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ორზე მეტჯერ გაიზარდა და წლეულს თებერვალში 1,5 მილიარდი ლარი შეადგინა.

ყოველივე უფრო ადვილად გასაგები რომ იყოს, განვმარტავთ, რომ რეფინანსირების სესხი – ესაა მოკლევადიანი დეფიციტის დასაფარავად კომპანების მიერ ეროვნული ბანკისგან აღებული სესხი, რა ფულსაც ისინი შემდეგ თავიანთ კლიენტებზე გასცემენ, რაშიც, ცხადია, სათანადო საპროცენტო გასამრჯელოს იღებენ. მაშასადამე, გამოდის, რომ ბანკების დიდ საპროცენტო განაკვეთს – გინდა-არგინდა! – მაღალი სამომხმარებლო ფასების მეშვეობით თითოეული ჩვენგანი ვიხდით. ამიტომაც სწორედ კომპანების პარპაზის, მათ მიერ მაღალი საპროცენტო განაკვეთის შეზღუდვის გზით უნდა იმოქმედოს ეროვნულმა ბანკმა, რის შედეგად, რეფინანსირების სესხების გაცემის შეზღუდვით, შესაძლებელი გახდება ფასების სტაბილურობის მიღწევა, თუმცა კი ამ შედეგის დადგომას საშველი არა და არ დაადა.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ეროვნული ბანკის მიერ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებული მონეტარული პოლიტიკის ანგარიშში ნათქვამია, რომ ინფლაციის დონის ზრდის მოლოდინი მხოლოდ წლის პირველ ნახევარზე ვრცელდება, წლის მინურულისთვის მისი დონე სახელმწიფო ბიუჯეტის ინდიკატორული მაჩვენებლის შესაბამისი იქნება და 5,5-6 პროცენტის ფარგლებში მოექცევა, – ასეთია საქართველოს ეროვნული ბანკის იმედია პროგნოზი.

ოთარ ტურაბელიძე

საქართველოვ, ჩემო დედავ, ჩემი სუნთქვა გენაცვალა (ზურაბ ბორბილაძე)

ბათუმის 11-12 მარტის მოვლენები, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება განსჯის საგანი. მის შეფასებაში მონაწილეობს ყველა, ვისაც არ ეზარება ენის მოფხანა: პოლიტიკოსები და პოლიტიკანები, არასამთავრობოები და სამთავრობოები, ხელმოცარულები და ხელგამართლები, პოლიტიკურად მკვდრები და ნახევრადმკვდრები, სხვადასხვა პარტიებში სხვადასხვა პარტიებიდან პორტირებულები და გადაბარებულები, ჩანერგილები და თვითჩანერგილები – ერთი სიტყვით, ისეა მონასტერი არეული, ძალი პატრონს ვერ ცნობს და მღვდელი მის მრევლს, მრევლი კი – საკუთარ მღვდელს. შეფასებებს სომ ნუ იკითხავთ, ხელისუფლება ყველაფერს ოპოზიციას აბრალებს, ოპოზიცია კი ხელისუფლებას. თუმცა შიგადაშიგ გამოჩნდებიან კომპეტენტური ადამიანები, რომელთა სიტყვას მეტი ფასი აქვს, ვიდრე რომელიმე ბედის მადიებლის მთელ ერთსაათიან გამოსვლას. სამწუხაროდ, ბათუმის მოვლენების დროს, ერთი რამ იყო თვალშისაცემი – მთელი აქციის მსვლელობის დროს, ერთი ავტორიტეტული კაცი არ გამოჩნდა, რომელიც ავტორიტეტული ადამიანების წინაშე გამოვიდოდა და მისი ავტორიტეტით და მონაწილეობით იმ გზაბნეულს შეაჩერებდა, რომელთა მახლობლები ახლა ბათუმის სასამართლოსთან მოთქვამენ – დაპატიმრებულები უდანაშაულონი არიანო. მაშინ ვინ დაწვა პოლიციის უმაღლესი საბჭოსა და მოქალაქეთა ავტომანქანები, ვინ მოაქცია ბათუმის ულამაზესი უბანი ცეცხლის ალში, ვინ ამტვრევდა არა მარტო პოლიციის ეზო-შიდაშოს, არამედ ბათუმის ზავშეთა საბალეტო სკოლის ფანჯრის მინებს? ვინ აგინებდა მის სამშობლოს უშვერი სიტყვებით? ერთი ქალბატონი თავს იკლაფდა სასამართლოსთან, არ გამოუშვებთ დაპატიმრებულებს და ქუჩებს გადაეკეტავთო. ა, ბატონო, კიდევ ახალი მოწოდება სამართალდარღვევისათვის. მგერა, ის ქალბატონი გამწარებულია და არც იცის რა მომავალ დანაშაულს აანონსებს წინასწარ. ზემოთ გულისტკივილით ვალიარე, ბათუმში არაფერ ალმოწნდა ისეთი ავტორიტეტი, რომელსაც მომიტინგეები მოუსმენდნენ და მის სიტყვას დაიჯერებდნენ-მოექცნენ. ამით იმის თქმა მინდა, რომ აჭარაში მთელი არც უმაღლესი თანამდებობის პირებს შორის და არც არასამთავრობო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის ალმოწნდა პოპულარული ადამიანი, რომელსაც მომიტინგეები დაუჯერებდნენ. ვინც მათთან იმ საღამოს მივიდა უმაღლესი საბჭოდან, მათი ან მანქანა დაწვეს შეკრებილებმა, ან თავად დეპუტატს გაუტყუეს ქვით თავი.

აჭარის ხელისუფლების სხვადასხვა ვერტიკალში მაღალი საზოგადოებრივი ავტორიტეტი პირი არ არსებობს. პრობლემა ამ დღეებში ნათლად წარმოჩნდა. ალბათ, ხელისუფლებამ უნდა იფიქროს ამაზე, თუ არ უნდა მომავალშიც პრობლემები შეექმნას. მე რასაც ახლა ვამბობ, ეს მართლ ჩემი მოსაზრება არ გახლავთ. ამაზე ბათუმში ახლა ბევრი ლაპარაკობს, ინტერნეტშიც სავსეა მსგავსი განცხადებებით. მე ერთი გამოცდილი ოპერმუშაკის, უშიშროების ყოფილი მაღალჩინოსანის (ისე კაცმა რომ თქვას, პროფესიონალი უშიშროების მუშაკი ყოფილი არ არსებობს. თუ ნამდვილი პროფესიონალია, იგი მისი სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცად რჩება სიკვდილამდე), ჩემი დიდი ხნის ნაცნობის, გოგი კუპრეიშვილის ინტერნეტპოსტი მენიშნა, სადაც იგი აღნიშნავს, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რომლებიც აქციების დროს დაზარალებულნი, ან შემდგომ ტელევიზიებით რომ გამოდიოდნენ, ოცნების წარმომადგენლები, ადრე ან ნაცემოძრაობის წევრები იყვნენ, ან სხვა პარტიებს წარმომადგენდნენ. რაღა თქმა უნდა, მსგავსი პარტიული გადახტომა-გადმოხტომა ჩვენი პოლიტიკოსებისთვის უცხო არაა.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ დღემდე 15 პირია დაკავებული, რომელთაც წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. არაა გამორიცხული, რომ კიდევ დააკავონ აქციის მონაწილეები. საქმე ისაა, რომ საგამომიებო უწყებაში მიმდინარეობს იმ პირების იდენტიფიკაცია, რომლებიც ვანდალური აქციების დროს აქტიურობდნენ. ამ ფონზე ის ადამიანები თუ პარტიული ჯგუფები, რომელიც იმ ღამეს ამ ხალხის ორგანიზებას ახდენდნენ და აქეზებდნენ, არ ჩანან. სამაგიეროდ, უფლებადამცველმა თამაზ ბაკუ-



პანდალიზმი დამთავრდა, სიშვილის გაუინოდეთ!



რიძემ, სატელევიზიო გამოსვლისას სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა. მოპოვებულია სატელეფონო ჩანაწერები, სადაც ორგანიზატორები დავალებას აძლევენ შემსრულებლებს, რომ მომიტინგეების რიგებიდან თუნდაც ერთი კაცი დაღუპულიყო, რომ შემდგომ აქციის მუხტი ანუელოყო. დაღუპული ადგილობრივი, აჭარელი უნდა ყოფილიყო, რომ მეტი სიმძაფრე გამოეწვია მოსახლეობაში. ამაში უნდა ჩართულიყვნენ აჭარიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩასახლებული ხალხი, შუახევის, ქედის და სხვა რაიონების მოსახლეობა, რომლებიც ბათუმში ჩამოვიდოდნენ და აქციის შეუერთდებოდნენ. თამაზ ბაკურიძემ ამ სკანდალურ ინფორმაციას კიდევ ერთ სკანდალს უმატებს – თურქეთის პრემიერ-მინისტრიც სწორედ ამ საკითხზე სასაუბროდ ჩამოვიდა მოკლე ვიზიტით ბათუმში. ამ ვიზიტის შესახებ ბათუმში მითქმა-მოთქმა არ წყდება. ერთი ცხადზე უცხადესია, თურქეთის პრემიერ-მინისტრის ასე მოულოდნელი და მოკლენიანი ვიზიტის ერთ-ერთი თემა აუცილებლად იქნებოდა ბათუმში 11-12 მარტის მოვლენები. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ 96 წლის წინათ, მარტში ბათუმში განვითარებული მოვლენებიც ქართულმა არმიამ ლეგენდარული გენერლის გიორგი მაზანაშვილის ხელმძღვანელობით თურქები განდევნა. ჯერ ბარცხანის მისადგომებთან დაამარცხეს თურქთა ჯარი, შემდგომ კი ვახაბრის ველზე, რასაც ყარსის ხელშეკრულება მოჰყვა. არაა გამორიცხული, საქართველოში რუსეთის გააქტიურებას გაედლიზიანებინა თურქეთი. საქმე იმაშია, რომ თურქეთის პრემიერ-მინისტრის ბათუმში ვიზიტი დაემთხვა პუტინის გადწყვეტილებას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების რუსეთის არმიის შემადგენლობაში შეყვანისა და აფხაზეთში დიდი რაოდენობით ახალი შეტევითი იარაღის, მათ შორის, სარაკეტო დანადგარების ს-300 შეტანისა და განლაგების შესახებ. ასეა თუ ისე, ერთხელ კიდევ დამტკიცდა მოსაზრება, რომ აჭარაში ტრადიციულად რამდენიმე სახელმწიფოს ინტერესები იკვეთება და ასეთ დროს იმაზე საუბარი, რომ პატრულის მიერ მძღოლის და-

ჯარიმება იყო ყველაფერი ამის მიზეზი, მიამიტობაა. ეს საბაბი იყო, მიზეზები კი სხვა, გაცილებით უფრო გლობალური და ჩვენი ქვეყნისთვის მიძიმედ გადასატანია. ასეთ ვითარებაში კი მიუტყვევებელია პოლიტიკანების განცხადებები, რომლებიც არაღდავიდევნ ქვეყნის, კუთხის მოსახლეობისა და სახელმწიფოს ინტერესებს, ოღონდაც ვინმეს გული მოიგონ, ან მომხრეები გაიჩინონ. არც ისაა გამორიცხული, რომ ზოგი მათგანი საზღვარგარეთელი პატრონების მითითებებსა თუ დავალებას ასრულებდეს. მას შემდგომ, რაც „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩემი წერილების ბეჭდვა დაიწყო, არაერთი ნაცნობ-მეგობრი დამიკავნირდა. ყველა მათგანი ბათუმის მოვლენების მისეულ ვერსიებსა და გამოსავლებს მთავაზობს. ფაქტია, ადამიანები შეაწუხა ამ არეულობამ და მასთან დაკავშირებულმა ღია თუ ფარულმა მიზეზებმა. ერთი ამტკიცებს ყველაფერი იმით იწყება, რომ არჩევით ხელისუფლებაში ხალხს მიერ არჩეული პირები არ მოდიან და შემდგომ არც თანამდებობაზე ინიშნებიან ავტორიტეტული ადამიანები. მეორე კითხვს მუშაობენ, მითხარით საქართველოს რომელ სამინისტროში, ან სხვა უწყებაში იკავებს სერიოზულ თანამდებობებს აჭარიდან ნარგზავნილები. მე ამაზე ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე. იქნებ ვინმე დამეხმაროს, სიახლოვებით დავბეჭდავ მორიგ წერილს ამ თემაზე.

1993 წლიდან 2004 წლის სექტემბრამდე აჭარის კულტურის მინისტრის მოადგილედ ვმუშაობდი. 2005 წელში ბათუმში რესპუბლიკური ბიბლიოთეკის გაუქმების საკითხი დადგა. შენობის გაყიდვა უნდოდათ ნაცებს. იმართებოდა აქციები. მეც მონაწილეობდი. აჭარის განათლებისა და

კულტურის სამინისტროში მივედი, ინტერვიუ მინდოდა ჩამომერთვა მინისტრისათვის (ის მინისტრი მერე თავად ნაცებმა ჩასვეს ციხეში. მათი დანიშნული კი იყო და...) არც მინისტრმა მიმილო და არც მოადგილეს ქალბატონმა. პრესსამსახურის უფროსზე მიდგა საქმე. ვერ მიცნო, მეკითხება ვინ ხართო. არც გამკვირვებია, პრესსამსახურის უფროსიც კი თბილისიდან იყო ჩამოყვანილი. რამდენიმე დღეში გავიგე, საფეხბურთო გუნდ ბათუმის „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსიც თბილისიდან იყო მოვლინებული. ადგილზე კაცი ვერ ნახეს?

ბათუმის „დინამოზე“ გამახსენდა. ამ გუნდის სტადიონი შავი ზღვისპირეთში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. იგი უფასურეტიტინგით საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებდა. აკი „დინამომ“ ამ სტადიონზე რამდენიმე მატჩი ჩაატარა ევროპირველობის ეგიდით, 2005 წელს ეს სტადიონი ისე დაანგრის და მინა გაყიდა ნაცხელისუფლებამ, რომ იმაზე არც უფიქრიათ, ქალაქს სპორტული არენის გარეშე რომ ტოვებდნენ. მას შემდგომ 12 წელი გავიდა. ახალი სტადიონის მშენებლობა დღესაც არ დაწყებულია. ეს ტიტულოვანი საფეხბურთო გუნდი კი ხან სად ატარებს შესვენებებს და ხან სად. როგორ ფიქრობთ, ჩემო მკითხველო, ეს არ აღიზიანებს ბათუმელებსა და არა მარტო ბათუმელებს?

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ბათუმი ოფიციალურად აჭარის დედაქალაქის სტატუსს ატარებდა. სხვათაშორის, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აჭარა ბათუმის ოლქის სტატუსით შევიდა. ყარსის ხელშეკრულებაშიც ასეა დაფიქსირებული. ნაცმოძრაობისა და პირადად სააკაშვილის ხელშეკრულებით ბათუმს მოეხსნა აჭარის დედაქალაქის სტატუსი და მას აჭარის ადმინისტრაციული ცენტრის სტატუსი მიენიჭა. რატომ? რა მისცა მან ქვეყანას, გარდა ვილაც-ვილაცების განაწესებისა და პრობლემებისა?

ბევრი მკითხველი ინფორმაციას გვანდის იმის შესახებ, თუ როგორ აქტიურად მიმდინარეობს სააკაშვილის დროინდელი უმაღლესი საბჭოს წევრებისა და ნაცინოვნიკების დასაქმება. ან როგორ გადაინაცვლეს აჭარის წინა (ოცნების) მონვევის დეპუტატებმა სხვადასხვა სტრუქტურებში. ეს მაშინ, როცა აჭარაში თვლიან, რომ წინა მონვევის უმაღლესი საბჭო ერთ-ერთი ყველაზე სუსტი და უმაქნისი იყო, რაც კი ხალხს ასსოვს. არადა, ყოველწლიურად უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი თითქმის ხუთ მილიონ ლარს შეადგენს. ახლა გადაიანგარიშეთ რამდენი გამოდის 4 წელიწადზე.

ბათუმის 11-12 მარტის მოვლენები ჯერ კიდევ არ დამთავრებულია. ახლა მტყუნმართალის ძიებისა და გარჩევის დროა. მგერა, არც ამ საქმიდან დარჩება ყველა კმაყოფილი, მაგრამ რას იზამ, როგორც სიმღერაშია – ჩვენ რომ მოგვწოდეს, დედა სამყარო არ მოწყობილა ისე. ახლა მთავარია, სახელმწიფომ მტკიცე პოზიცია დაიკავოს და ყველას თავისი მიუზღოს. თუმცა მე ესეც მეექვსეა. იცით, რატომ? იმიტომ, რომ თუნდაც ყასიდად, ვინმეს ხომ უნდა ეთქვა ხელისუფლებიდან, იგივე შინაგან საქმეთა სამინისტროდან, იქნებ იმ საპატრულო ეკიპაჟმა გადაამეტა უფლებამოსილებას, ან სხვა დარღვევებს ჰქონდა ადგილი, ამას მოვიკვლევთ და საზოგადოებას ვაცნობებთ. ამის ნაცვლად, ერთსახოვნად აცხადებენ დღემდე: პოლიცია კანონის ფარგლებში მოქმედებდა და დებულება არ დაურღვევიაო. ამით მუნდირის ღირსებას იცავენ. არის კი ეს შექმნილ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავალი? ნამდვილად არა. ამით ხელი-სუფლება იმ სუსტ ძალებსაც ხომ არ წყვეტს, მასსა და ქვეყნის მოსახლეობას შორის ჯერ კიდევ რომ არის!

„პანდალიზმი დამთავრდა, სიშვილის გაუინოდეთ!“ ეს პერიფრაზია ცნობილი გამოთქმისაა, „ომი დამთავრდა, მშვიდობის გაუინოდეთ, ხალხო!“

ამირან კილუბაძე,
გამეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ აჭარა-გურიის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი.



პარლამენტის ყოფილი წევრმა ხათუნა ხოფერიამ „რეპორტიორთან“ საუბრისას ბათუმში განვითარებული მოვლენები შეაფასა და აღნიშნა, რომ ამ ქმედებების უკან „ნაციონალური მოძრაობა“ დგას. ხოფერია ასევე გამოეხმაურა ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკურ მოვლენებსაც.

— როგორ ფიქრობთ, ბათუმში განვითარებული მოვლენები შიდა ძალების მიერ იყო პროვოცირებული, თუ მასში გარე ძალები მონაწილეობდნენ?

— იმ დღეს მე მაინც ვიცი, რომ ნაწილად გავყოფი, თუმცა, მინდა, გითხრა, რომ დასაწყისი, შეიძლება 2-3 დღით ადრეც მოვიდიოთ. მუშაობდნენ იმისთვის, რომ აეგორებინათ თემა თათრების სახელით, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტის დადგენა, რომ ასეთი რამ ვინმემ თქვა და შეურაცხყოფა მიაყენა აჭარის მოსახლეობას, დღემდე ვერ მოხდა. იმ დღეს კონკრეტული პირების დაკავება, „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან იქნა გამოყენებული, რათა აეგორებინათ მოვლენების მეორე ნაწილი, კერძოდ, მომხდარიყო მძაფრი დაპირისპირება ძალოვან სტრუქტურებთან. ასევე ფაქტია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი აქტივისტი სკოლის ავტობუსით მოძრაობდა და მთიანი რეგიონებიდან ჩამოჰყავდა თავისი მხარდამჭერები, სწორედ ის ადამიანები, რომლებიც აგრესიულად მოქმედებდნენ, აქედან გამომდინარე, ჩემი შეფასება არის ასეთი — ეს იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეგმილი აქცია.

— ოპოზიციის მხრიდან ისმის კრიტიკა, რომ ხელისუფლების რეაგირება დროული არ იყო და უფრო ადრე უნდა აღეკვეთათ ბათუმში განვითარებული მოვლენები, თქვენ როგორ შეაფასებდით მათ განცხადებას?

— საკუთარი მენტალიტეტიდან და წარსულიდან გამომდინარე, მათთვის წარმოუდგენელი იყო, რომ ხელისუფლებამ არ გამოიყენებდა აგრესიულ ძალას

ხათუნა ხოფერია: პრეზიდენტი სდილობს, სათავეში ჩაუდგას ოპოზიციურ ფრთას

სპეცდანიშნულების რაზმის მხრიდან, მათ ეს ვერ წარმოიდგინეს.

ყველა საჯარო გამოსვლაში, როგორც კი ხდება პარალელის გაკლება 2012 წლამდე მოვლენებთან, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები იწყებენ შენიშვნის მიცემას და ამბობენ, რომ მივდივართ მომავლისკენ და უკან დაბრუნება და წარსულის გახსენება არ არის საჭირო. ეს, რა თქმა უნდა, მათი მხრიდან მომზადებული თემაა. მათ არ აქვთ პასუხები საკუთარ წარსულთან დაკავშირებით, ამიტომაც გვიკვირებენ, რომ არ გავავლოთ პარალელები ჩვენს უახლეს ისტორიასთან. კი ბატონო, ეს შესაძლებელია, თუმცა მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ ისინი აღიარებენ იმ დანაშაულებს, რომელიც ჩადენილი აქვთ 2012 წლამდე და ჩვენი სამართალდამცავები მისცემენ სამართლებრივ შეფასებას. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვაჭრებდებით და აღარ გავისხენებთ ამ წარსულს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ გაბედოს არც ერთმა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, აქტივისტმა, მხარდამჭერმა, რომ აგვიკრძალოს საუბარი იმაზე, თუ რა გამოვიარეთ ცხრა წლის განმავლობაში. მივმართავ „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ელიტას, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაამთავრებინონ ჭკუის სწავლება ამ დამნაშავეებს და კრიმინალებს.

— როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტის ქმედებები, თუნდაც ენ. „ფარული მოსმენების“



კანონთან დაკავშირებით, ასევე ახალი კამპანიის „კონსტიტუცია ყველასა“ წამოწყება საით არის მიმართული, უპირისპირდება თუ არა პრეზიდენტი ამით ხელისუფლებას?

— ძალიან კარგად იკვეთება, პრეზიდენტის მცდელობა, სათავეში ჩაუდგეს ოპოზიციურ ფრთას. პრეზიდენტს საამისოდ აქვს დრო, შეუძლია გადადგას რეალური ნაბიჯები ამ მიმართულებით. დღევანდელი სურათი არის ასეთი: საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან ამორჩეულია ორი თემა, ერთი გახლავთ კონსტიტუციური ცვლილებები, რომლითაც ის დაუპირისპირდა ხელისუფლებას და დაიწყო თავისი სვლები ამ მიმართულებით. ის, ჯერჯერობით, მსუბუქად ცდილობს ოპოზიციური ნიშის დაჭერას. მარგველაშვილი შეძლებს გახდეს ოპო-

ზიციური ფრთის ლიდერი, შეიძლება სწორედ ამიტომაც მოხდა „ნაციონალური მოძრაობაში“ გაყოფა. საერთოდ, მივიჩნევ, რომ ნაბიჯები იქითკენაა მიმართული, რომ საბოლოო ჯამში მოხდეს საქართველოს პრეზიდენტის ქმედებებისა და უგულავა-ბოკერიას ფრთის თანხვედრა, რა თქმა უნდა, რესპუბლიკელებს ამ მიმართულებით წავლენ. უბრალოდ, ისინი ელოდებიან საბაბს, რითაც მოხდება მათი გაერთიანება.

რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებებს, მან საერთოდ დამოუკიდებელი თამაში დაიწყო, ცალკე გამოყოფა და, რა თქმა უნდა, თანხვედრა აქვს „ნაციონალური მოძრაობისა“ და „რესპუბლიკური პარტიის“ გარკვეულ ძალებთან. ფაქტი ერთია, რომ პრეზიდენტი იყო მინვეუტი კომისიაში და არ მივიდა. ჩვენ ხომ არ ვიღებთ ახალ კონსტიტუციას, ჩვენ ხომ არ ვქმნით ქვეყნის კონსტიტუციურ წყობას, იქ არის უშუალოდ პრეზიდენტის უფლებამოსილებებში შესატანი ცვლილებები, ეს კი, საქართველოს პარლამენტის თემაა.

— როგორ ფიქრობთ, იმ შემთხვევაში, თუ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი მარგველაშვილი თავისი კანდიდატურის წამოყენებას, შეძლებს გამარჯვებას?

— მარგველაშვილმა ყველაზე კარგად იცის, რომ შემდეგ არჩევნებში ის უბრალოდ ვერ გახდება პრეზიდენტი, მას აქვს ძალიან კარგი ანალიზის უნარი და იცის, რომ მისი პრეზიდენტობის პროცენტი არის ძალიან დაბალი, შეიძლება 10%-საც არ გადასცდეს. აქედან გამომდინარე, ჩემთვის არის აშკარა, რომ ეს ადამიანი ეძებს თემებს, რომლითაც შეძლებს ქართულ პოლიტიკურ ველზე მოთელის ოპოზიციური სეგმენტი, რათა მათთან ჰქონდეს გადაკვეთები, რომ ერთ მშვენიერ დღეს, გარკვეულ პოლიტიკურ ძალებთან ერთად დაფიქსირდეს, როგორც ოპოზიციის ლიდერი.

სალომე უპრეტენზიო

იუსტიციის საინისტრო

აბრკელებს ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის წესების შესახებ საქართველოს მოქალაქეთა ინფორმირებას

იუსტიციის სახლის ფილიალებში, საზოგადოებრივ ცენტრებსა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში, პასპორტისა და პირადობის მოწმობის აღებისას, უკლებლივ ყველა მოქალაქეს, ამ დოკუმენტებთან ერთად, გადაეცემა ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის წესების შესახებ მომზადებული სპეციალური ბროშურები.

ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის წესების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებისათვის აქტიური საინფორმაციო კამპანია იუსტიციის საინისტრომ ჯერ კიდევ გასული წლის აპრილიდან დაიწყო. უკვე გაცემულია 265 000-მდე ბროშურა, რომელშიც უვიზო მიმოსვლის წესები და რეგულაციებია განმარტებული, რაც საქართველოს მოქალაქეებს აღნიშნულ თემაზე საჭირო ინფორმაციის მიღებას გაუმარტივებს.

ბროშურაში დეტალურადაა განვიხილული ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათ შორის, ჩამონათვალი ქვეყნებისა, სადაც უვიზოდ მოგზაურობა შესაძლებელია; ვიზიტის ხანგრძლივობა და მიზანი; საჭირო დოკუმენტების ნუსხა. საინფორმაციო კამპანიის მიზანია, სამგზავრო დოკუმენტის (პასპორტის) მიღების დროს, საქართველოს მოქალაქეების დროული ინფორმირება ევროკავშირის ქვეყნებში მოგზაურობისთვის აუცილებელი წესების შესახებ. ამასთან, რადგანაც ევროპასთან უვიზო მიმოსვლის ძალაში შესვლის თარიღი ახლოვდება, მოქალაქეები საინფორმაციო ბროშურებს უკვე არა მხოლოდ პასპორტთან, არამედ ახალ პირადობის მოწმობასთან ერთადაც მიიღებენ.

ბიომეტრიული პასპორტის მქონე საქართველოს მოქალაქეები უვიზოდ გადაადგილებას ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანაში შეძლებენ. ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, ჩეხეთი და შვედეთი.



საქართველოს მოქალაქეებს უვიზოდ გადაადგილება შეეძლებათ, აგრეთვე, ევროკავშირის არაწევრ 4 ქვეყანას (ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია, შვეიცარია) და შენგენის კანდიდატ ქვეყნებში (ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი და ხორვატია).

საქართველოს მოქალაქეები უვიზოდ ვერ იმოგზაურებენ დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში.

ევროკავშირში უვიზოდ მიმოსვლა შესაძლებელია მხოლოდ მოკლევადიანი ვიზიტით, 6 თვის განმავლობაში მხოლოდ 3 თვის ვადით. მოკლევადიანი ვიზიტის მიზანი შეიძლება იყოს ტურიზმი,

ოჯახის წევრების, ნათესავების ან ახლობლების მონახულება; საქმიანი შესვედრების, მოლაპარაკებების გამართვა და სხვ.

შენგენის ზონის ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეები უვიზოდ ვერ გაემგზავრებიან უმაღლესი განათლების მიღების ან დასაქმების მიზნით.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ევროკავშირის (შენგენის) წევრ ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლისას, სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენელი შეიძლება დაინტერესდეს, თუ რა არის ვიზიტორის მიზანობის კონკრეტული მიზანი. მგზავრობის მიზნის დასადასტურებლად, სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენელს უფლება აქვს, მოითხოვოს შემდეგი საბუთები: საქართველოში დასაბრუნებელი ბილეთი, სასტუმროს ჯავშანი, სამოგზაურო დაზღვევა, მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ.: ნაღდი ფული, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები).

ევროკავშირის (შენგენის) წევრ ქვეყნებში ყოფნის ვადის გასვლამდე საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს ქვეყნის ტერიტორია. თუ პირი აღნიშნულ ვადას დაარღვევს, მას გააძევენ ამ ქვეყნიდან და ევროკავშირის წევრ ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლას 5 წლამდე ვადით აუკრძალავენ. ალტერნატივის სახით, საქართველოს მოქალაქეს შესაძლოა, დააკისრონ 3,000 ევრომდე ოდენობით ჯარიმის გადახდა.

მომზადდა მარიამ ავაძიძე.

კობა იბადაშვილის «ჩემი საუკუნე»

გამომცემლობა „ინტელექტმა“ 2016 წლის ბოლოს გამოცემა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის კობა იბადაშვილის წიგნი „ჩემი საუკუნე“ (მხატვარი გოგი წერეთელი, რედაქტორი ზვიად კვარაცხელია)

მს წიგნი იმ სასტიკ დროზეა, იმ განადგურებულ, დაზარალებულ, ხმაწაწყვეტილ დიდ ადამიანებზე, რომელთაც, ყოველივეს მიუხედავად, მინც შეძლეს ეროვნული იდელებისა და ღირსების შენარჩუნება... დრო ყველაზე შთაბეჭდილებად სწორედ ასეთი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებასა და შემოქმედებაში ჩანს და არა პოლიტიკური ელიტის საქმიანობაში, რადგან პოლიტიკური ელიტა, მათგან განსხვავებით, ფაქტობრივად არ არის თავისუფალი პოლიტიკური თუ სხვა გავლენებისაგან.

წიგნში დიდიხალი საარქივო მასალაა მოხმობილი, ის ავტობიოგრაფიული, რომელიც იმედაშვილების არქივში იყო დაცული და პირველად ქვეყნდება, ავი თვალისაგან შეგნებულად დაფარული ეს ტექსტები დროსაც ახლებურად წარმოგვიჩვენს და თავად პიროვნებებსაც. ისიც სათქმელია, რომ წიგნი კი პქვია „ჩემი საუკუნე“, მაგრამ ქრონოლოგიურად მისი ტექსტები მეთხუთმეტე საუკუნიდან იწყება, გიორგი და ბაგრატ მეფეების მათ სელმოწერილი იოსებ იმედაშვილის მეუღლის ანა ჟურელის წინაპრების „სასისხლო სიგელით“, რომელიც ჯერ დიდა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ გამოაქვეყნა „ივერიაში“, ხოლო შემდეგ მარი ბროსემ — პარიზში. წიგნის ერთი სიკეთე ისიც გახლავთ, რომ მისი ავტორისათვის მთელი ეს საარქივო მასალა — ავტობიოგრაფიული წერილები, ლექსები, მითხრობები, პუბლიცისტური თუ დოკუმენტური ტექსტები ყოველდღიური რეალობა იყო და ისინი მის ფსიქიკაში ქმნიდნენ დროის სურათს თავისი ხმებით, ფერებით, ტკივილებით თუ სიხარულით. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ეპისტოლარული ტექსტები ადამიანის წარმოსახვაში გაცოცხლებულ ყოფიან ქმნიან.

სწორედ ასე ცოცხლდება ამ წიგნში მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების ქართული ყოფა, 1918-21 წლის საქართველო, 1924 წლის ტრაგედია, 1937, 1944, 1952, 1956, 1989-1990 წლები, 1991 წლის სამხედრო გადატრიალება, 2003 წლის „კარის გადატრიალება“. წიგნი გასდევს გასული წლე-


ბის პიროვნული შეფასების აუცილებლობის მოტივი, ქვეყნის, დროისა და ეროვნების მიმართ პასუხისმგებლობის განცდაც და ეროვნებისთვის ცოდვით მიტევების სურვილიც. ამადგროულად მასში წარმოჩენილია ქართული მწერლობისა და ქართველი ერის თოზიციური აზრის გამბედაობა და შურისგებადობა. იმ მხელ დროშიც კი ქართული თოზიციური აზრი მიუხედავად რეპრესიებისა, მინც ცოცხლობდა და ღირსებასა და იმედს უნარჩუნებდა ადამიანებს. ეს ჩანს წიგნში, იმ ტექსტებში, რომელიც სწორად ერთადერთია. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ გვათქმევინებს რომ დიდი ხანია, დადგა დრო ჩვენს ქვეყანაში ღრმად და პიროვნულად შეფასდეს ქართველი საზოგადოების ის უკომპრომისო აზრი, რომელსაც იგი სწორად დაფარულად, სელმოწერილად, გადამალულ თუ გაპარულ ტექსტებში ავლენდა. ამ ტექსტების მოძიების პროცესი, რაც ამ წიგნში ვლინდება, უნდა გაგრძელდეს სხვადასხვა სახელმწიფო, პირად თუ დასურულ არქივებში, რომ ჩვენს ისტორიაზე სრული წარმოდგენა შეგვექმნას. ასეთი ძიების ერთი წარმატებული ცდა სწორედ კობა იმედაშვილის ეს წიგნიც გახლავთ. ავტორი წარმატებულად წარმოაჩინს ყველა მათ, ვინც მიწუბათებული იყო, დაჭრილი, დაზარალებული, გადასახლებული. ამ მხრივ სხვებაც მუშაობენ და დადგა დრო ამ ყველაფერმა სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებშიც პპოვოს ასახვა. ჩვენ ჯერ ბევრი რამისთვის გვაქვს სახელი დასარქმევი და ბევრი უჩინო თუ საჩინო მოღვაწისთვის შესაფერისი ადგილი მისაჩენი. „ჩემი საუკუნე“ ამ საქმეს საპრობლემანად და კარგად აკეთებს იგი კარგი კრიტიკოსის კარგი პუბლიცისტისა და კარგი მწერლის დაწერილი და კარგად გადმოცემული წიგნია.

აქვე გთავაზობთ ამ წიგნის ორიგინალურსა და ინფორმაციულ „სარჩევს“, რაც წიგნის სრულ სურათს ქმნის და მეითხველს უადვილებს ამ ვრცელ წიგნში ორიენტირებას, აქვე გაქვეყნებთ აგრეთვე წიგნის დასასრულს.

გურამ შიშლაური

დასაწყისი - 13 გვ.

სამზარეულოს კარის შიდა მხარეზე წარწერილი სიტყვა — „საქართველო“. დამოუკიდებელი საქართველოს პრემი-



ნიოსა იბადაშვილი. 1952 წ. რუხან აკოფოვის ფოტო.

ერ-მინისტრი ნოე ჟორდანიას და საბჭოთა კავშირის „პირველი მსროლელი“ კლიმენტი ვოროშილოვი. ჩვენი ორმაგი ცხოვრება და ქართველების თვითგადარჩენის ინსტიტუტი. იმედაშვილების არქივი. რუსეთის შემოსვლა საქართველოში. ვაჟას „ბათურის ხმალი“. იმედაშვილები. ერეკლეს ნაბოძები საცხოვრისი. ბებიაჩემის წინაპრების, მეთხუთმეტე საუკუნის ჟურნალების, „სასისხლო სიგელი“. „თუ ვინმემ თქვენი საგვაროსა კაცი მოკლას, დიდი შემოხვენითა ას-სამოცი-ათასი კირმანული დაგიურვოს“... იოსებ იმედაშვილის წინაპარი ხევსური იმედა. ვაჟას წინაპარი ხევსური იმედა. წერა-კითხვის უცოდინარი წინაპრები. ქორწინება ძველ საქართველოში. წერაქველები — მიხეილ ჯავახიშვილი და იოსებ იმედაშვილი.

ტიკი ლექსი. სტალინის დახმარებით იოსებ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ მესამედ გამოცემა. ტერენტი გრანელის ლექსი — „იოსებ იმედაშვილი“. იოსებ გრიშაშვილის „ავტობიოგრაფია“. ხალხის გაუსაძლისი ყოფა და იოსებ იმედაშვილი. „კეტიბობა“. „ახალ (კომუნისტურ) სიტყვათა ლექსიკონი“. იოსებ იმედაშვილის დღიურები. საქართველოს მწერალთა კავშირის „წმენდა“. იოსებ იმედაშვილი მიხეილ ჯავახიშვილს მოსკოვიდან. „ციბრუტა“. ბერია და ქართველი მწერლები. შინაგან ემიგრაციაში. „ოქროსიანი“. ანა კალანდაძე. იოსებ იმედაშვილი და ქართული კინო. ქართული ჯაზი... სილატაკე — ქართველ მწერალთა მუდმივი თანამდევნი. ვაჟა საავადმყოფოში. ფიროსმანის ვერგადაღებული ფოტოსურათი. იოსებ იმედაშვილისა და მიხეილ ჯავახიშვილის მიმოწერა „თათრულად“, ქართული ასოებით. გალაკტიონი სამქიმარზე ჩვენს ოჯახში. დიდი გაჭირვებანი.

მოლაპარაკე ნიშთაბი - 138 გვ.

იოსებ იმედაშვილის კალამ-კალმისტარი და სამელნეები. ილიას მაგიდა. ნინო ორბელიანის კაბა და სარტყელი. ალნიაშვილისა და რატილის ქართული ხოროს აფიშა. „წვრილ-წვრილ ვაის წლიური ბილეთი (1935). ვარაზაშვილები, ნობელის პრემიაზე უარის თქმა. ვაჟას „და-მუშაება“.

ვაჟა, სტალინი, გულქანი - 149 გვ.

სტალინი ვაჟას შესახებ. თამარ იმედაშვილის ბარათი და მოგონება ვაჟას ქალიშვილზე, გულქანზე. გულქანის სურათები. ვაჟას ქალიშვილი — გულქანი. „მეგრელთა საქმე“. ექვთიმე თაყაიშვილის მოკვდინება.

იოსებ იმედაშვილისა და სტალინის გარდაცვალება. „სტალინს მოწამვლას უპირებენ“. „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ — სოსელი. სტალინი და საქართველო. საქართველოს გასაბჭოება. დახვრეტები. 1944 წლის გასახლებანი. სტალინის იდეა ომის გაგრძელების შესახებ. 1951 წლის გადასახლებანი. სტალინის სიკვდილი. „ჩვენ ვართ ერთი სისხლისა და ხორცისანი“. „მწერლობის მოთვინიერება“. აღვირები. დისიდენტური „ფუნაგორიები“. აკაკი მგელაძე — ცეკას მდივანი. გალაკტიონი — „აკაკიები, ბაკაკიები“ და „ცეკა, მეკკა“. ევტუშენკოს ფილმი სტალინზე.

ქართველების დარბევა საბჭოთა იმპერიაში. შალვა ნუცუბიძის, სიმონ ყაუხჩიშვილისა და ეუკოლ ბერიძის გაძევება უნივერსიტეტიდან. ბერია და გიორგი ლეონიძე. ხრუშჩოვი და სტალინი. ბენი გუდმანის კონცერტი თბილისში. „ლაიფი“. „ქართველებმა უსტვინეს რუსულ სიმღერას“.

ქართველთაძულე ნიკიტა ხრუშჩოვი და მისი ქვისლი

ვასილ მუჟანაძე — ცეკას მდივანი. 1956 წლის ტრაგიკული მარტი: დალუპულთა გვარები. ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვე“. ბაკურიანის სიმპოზიუმი. ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“. საქართველოს ცეკას მდივანი — ედუარდ შევარდნაძე. 1978 წლის 14 აპრილი. აკაკი ბაქრაძე. „თვითმფრინავის ბიჭები“. პირველსკოლელების კმანცილური „დისიდენტობა“. აფეთქებანი სოხუმში, ქუთაისსა და თბილისში.

შეპარდნაძის შედეგ - 231 გვ.

შევარდნაძე — მოსკოვში, პატიაშვილი — თბილისში. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა. 1989 წლის 9 აპრილი. „საზოგადოებრივი კომისია“ და მისი ინფორმაციის დაბლოკვა საქართველოს ტელევიზიაში. გოკა ხაინდრავას ფილმი. 9 აპრილის დახოცვა და დაზარალებულთა სია. ლევან ბზვანელის დოკუმენტური კადრები. 9 აპრილის შემდეგ.

ზვიად გამსახურდია - 269 გვ.

კონსტანტინე გამსახურდია. ზვიად გამსახურდია, თამარიკო გამსახურდია... ზვიად გამსახურდია და ქართული „სამიზნატი“. ზვიად გამსახურდია — მუდმივი დისიდენტი. მერაბ კოსტავა — უკომპრომისო რაინდი. მერაბ კოსტავას დალუპვა. ანტისაბჭოთა მიტინგი დიდუბის პანთეონში. დავით გარეჯი.

1990 წლის 9 აპრილს ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

არქივობა ქაყანაში - 288 გვ.

„ვინც ჩვენთან არაა, ის ჩვენი მტერია“. 1991 წლის 2 სექტემბრის დარბევა. კონფლიქტი მწერალთა კავშირში. „ქართია — 91“. საქართველოს გენერალური პროკურორის, ვახტანგ რაზმაძის, გაფრთხილება. ქართული „შენ-ცენტრი“. შეიარაღებული დაპირისპირება პარლამენტის შენობის წინ.

სამხედრო გადატრიალება - 306 გვ.

რუსეთი, ამერიკა, ზვიად გამსახურდია. ჯაბა იოსელიანი — „კანონიერი ქურდი“, თენგიზ კიტოვანი — ყოფილი პატიმარი, თენგიზ სიგუა — მეცნიერებათა დოქტორი.

ელპიდ შეპარდნაძის დაბრუნება საქართველოში - 312 გვ.

სამოქალაქო დაპირისპირება. ზვიადისტები და ანტიზვიადისტები. აფხაზური და ოსური სეპარატიზმი. მაშინდელი ამბები. გამოუცხადებელი ომი რუსეთთან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ედუარდ შევარდნაძის წაგებული მთავარი ბრძოლა სეპარატიზმთან. დავით აღმაშენებლის ტიტულატურა. საქართველოს დროშა, გერბი, ჰიმნი.

© **ჭადრაკი**

სოტენაშვილი საქართველოს ჩემპიონია

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საქართველოს 74-ე ჩემპიონატი (საპრიზო ფონდი 17.500 ლარი), რომელშიც 10 დიდოსტატი, საერთაშორისო და ფიდეს ოსტატი წრიული სისტემით იბრძოდა მედლებისთვის. ბელა ხოტენაშვილიმა ცხრა შესაძლებლობიდან 7 ქულას მოუყარა თავი და საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. მეცხრე ტურში იგი შავი ფიგურებით სოფიკო ხუხაშვილს დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ მირანდა მიქაძე-ნინო ხომერიკი, სოფიკო გვეტაძე-ნინო ხურციძე, თამარ წერეთელი-სალომე მელია, ანა კუჭავამ კი მერი არაბიძე დაამარცხა. 6 ქულით ვერცხლის მედალი ნინო ხურციძეს ერგო. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა სალომე მელია, რომელიც მესამე ადგილზე გავიდა. შეჯიბრების დებულების თანახმად, საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია სამივე მედალოსანს ვეროპის ინ-



დივიდუალურ ჩემპიონატზე გამგზავრებულ დააფინანსებს.
საბოლოო შედეგები: ბელა ხოტენაშვილი - 7, ნინო ხურციძე - 6, სალომე მელია - 5.5, სოფიკო გვეტაძე - 5, თამარ წერეთელი - 4.5, მერი არაბიძე - 4.5, ნინო ხომერიკი - 4, ანა კუჭავა - 3.5, მირანდა მიქაძე - 3, სოფიკო ხურციძე - 2 ქულა.
ლაზა დიდა

© **ფარიკაობა**

ერთი „ოქრო“ და ორი „ბრინჯაო“

მთლიან მოსარგებლე მოფარიკავეთა შეჯიბრებებში არაერთხელ უსახელებია თავი ქართველ პარასპორტსმენ ირმა ხეცურთან. მან ამჯერად იტალიის ქალაქ პიზაში იყოჩაღა, სადაც მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი გათამაშდა. ხეცურიანმა ხმლით ფარიკაობაში ყველა მეტოქეს აჯობა, მათ შორის ფინალში გერმანელ კოლეგას (15:4) და ოქროს მედალი მოიპოვა. მეორე ჯილდო მან რაპირით ფარიკაობაში დაიმსახურა - ამჯერად მხოლოდ ნახევარფინალური პაექრობა დათმო და მესამე ადგილზე გავიდა. ამავე დისციპლინაში, ასევე, მესამე იყო ეტლით მოსარგებლე მოფარიკავეთა ნაკრების წევრი ნინო თიბილაშვილი.



ირმა ხეცურია **ნინო თიბილაშვილი**
ბივი გაგუა

© **პარატი**

მედლების, ქულების

2020 წელს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში კარატისტები ქალთა და ვაჟთა 3-3 წონით კატეგორიაში გაითამაშებენ მედლებს. საგზურებისთვის (წონაში მხოლოდ რეიტინგით 10-10 საუკეთესო გამოვა) პირველი საკლასიფიკაციო ქულები სპორტსმენებმა როტერდამში კარატისტთა პრემიერლიგის შეჯიბრებაში დაიმსახურეს (სარეიტინგო ქულებს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებიც იძლევა). ტურნირში საქართველოს სუთი წარმომადგენელი მონაწილეობდა. შესანიშნავად იასპარეზა 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა გოგიტა არქანიამ, რომელმაც ჯგუფში ოთხ მეტოქეს სძლია: პირველ წრეში ლუიჯი ვალერასთან ორთაბრძოლა ფრედ დაასრულა, მაგრამ, მსაჯების გადაწყვეტილებით, მომდევნო წრეში არქანია გავიდა, იქ კი ბელგიელ ბრაიან ვანვანსბერგს აჯობა - 3:1, მერე ჟარკო არ-

სოვსკი (მაკედონია (4:1) და ჰეროლინდ ნიშევიჩი (კოსოვო, 3:0) დაამარცხა, ნახევარფინალური პაექრობა კი კანადელ დანიელ გაისინსკისთან დათმო. ბრინჯაოსთვის შესვენდა არქანიამ ფრანგ ებლე დიორს მოუწია (1:0).

ტურნირზე მეორე ბრინჯაოს მედალი -67 კილოში დავით პატარიძემ დაიმსახურა. ჯგუფში მან ჯორდან ნევესი (ლუქსემბურგი, 4:3), ალესანდრო კურტი დელე (იტალია, 4:1) და შტეფან პოკორნი (ავსტრალია, 3:1) ჩამოიშორა გზიდან, ნახევარფინალში გასასვლელი ორთაბრძოლა კი ანდრეს მადეირასთან (ვენესუელა, 1:6) წააგო. სამაგიეროდ, რეპეშაჟში კიდევ სამ მეტოქეს აჯობა - რიკარდო გიეგლერს (გერმანია, 2:1), ნიკოლას სანტანას (ჩილე, 3:1), რაულ მორა გუერას (ესპანეთი, 3:0) და ბრინჯაოს მედალი ხვდა. ორივე ქართველმა კარატისტმა პირველი სარეიტინგო ქულებიც მიითვალა.

ლემსო ცინცაძე



© **ჩოგბურთი**

„შატალო“ და პირველი უცხოზი

საქართველოს პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი მაიამის მასტერზის ძირითად ბადეში უბრძოლველად მოხვდა. მიზეზი ბანალურია - ოკეანის ვაღმა გამგზავრებაზე სხვადასხვა მიზეზით უარი თქვეს ნოვაკ ჯოკოვიჩმა, ენდი მარეიმ და ჯო-ვილფრედ ცონგამ, რის გამოც კვალიფიკაციის პირველმა ნომერმა ჩვენმა თანამემამულემ ავტომატურად დაიკავა ერთ-ერთი ვაკანტური ადგილი. სხვათა შორის, რომ არა ბობოლათა „შატალო“, ნიკას სასტარტო შესარჩევი ბრძოლა ბაჰამის კუნძულების წარმომადგენელ დარიან იანგთან უნდა გაემართა, ვისთანაც ინდიან უელსის ამასნიანდელი მასტერზის საწყის ეტაპზე დამარცხდა, მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ზოგ-ზოგიერთთა „ღალატის“ გამო რეგნის ალების შანსი აღარ მიეცა. რაც შეეხება ბასილაშვილის პირველი მეტოქის ვინაობას, ძირითადი ბადის კენჭისყრა ხვალ მოენწყობა და მომავალ მონაწილედგეგმასაც ის გამოავლენს.



ვიტალი ჯაფარიძე

© **რაგბი**



10 მაისს იაპონიის ძველ სატახტო ქალაქ კიოტოში მორაგბეთა 2019 წლის მსოფლიო თასის გათამაშების ჯგუფური რაუნდის კენჭისყრა მოენწყობა. ახლახან დასრულებული ექვსი ერი-სა და რაგბი ევროპის ჩემპიონატების შედეგების მიხედვით გაირკვა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები მომავალი ფორუმის წინ მესამე კალათაში დამკვიდრდა. მთლიანობაში ქალთა შეფარდებითა ნუსხამ ასეთი სახე მიიღო: **პირველი კალათა** - ახალი ზელანდია, ინგლისი, ავსტრალია, ირლანდია.

© **ინტერნეტიდან**

სისფერო ტრიო აპენინებზე

ANSA-ს ცნობით, ორი იტალიელი მწვრთნელი დააპატიმრეს პედოფილიის ბრალდებით. ერთი მათგანი 20 წლისაა, მეორე კი 50-ის. ასევე, დაკავებულია მსაჯიც. ტურინის პოლიციის განცხადებით, 20 წლის მწვრთნელი ბავშვებს გუნდში ადგილს და სამომავლოდ კარიერულ წინსვლას ჰპირდებოდა სექსუალური სამსახურის საწევროდ. 50 წლის მწვრთნელიც იმ გუნდში მუშაობდა და, თუმცა, ყველაფერი მისი მითითებებით კეთდებოდა.



ინფორმაცია 16 წლის ჭაბუკის დედამ გაავრცელა, რომელსაც სახლში მოუყოლია ამ შემთხვევის შესახებ და დედამ პოლიციას მიაკითხა. **ცნობისთვის:** იტალიაში ადრეც მოხდა მსგავსი სკანდალი - მწვრთნელი ანტონიო მარჩი ანალოგიური ბრალდებით დააპატიმრეს. წლეულს იანვარში მარჩიმ ალექსანდრის საპრობილეში თავი მოიკლა...
როსტომ რაჭველიშვილი

კიდევაც დაიზრდებიან...

„პაემანი მთაწმინდაზე“

„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი, ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო. თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი, დე, მტვრად ქცეულს დაემნახოს მთელი სამყარო!“

მს სიმონ (სიმონია) ბერეჟიანის ცნობილი სტრიქონებია, რომელიც ყველა ქართველი ემიგრანტს, ქვეყნის უბედობისგან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტულ ქართველებს, როგორც ფიცი ისე მქონდათ მიჩნეული. სამშობლოზე ლოცვასა და დარდში ათენ-ალამებდნენ და საოცნებოდ მქონდათ ქცეული თავისი ქვეყნის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას მოსწრებოდნენ. ამ ლექსის ავტორიც სიმონია ბერეჟიანიც (თაყაიშვილი) ბედის უკუღმართობამ დატოვა უცხოეთში.



1918-1920 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული არმიის ოფიცერი ყველა მნიშვნელოვანი ბრძოლების მონაწილე გახლდათ, რომელიც კი სრულიად ახალ-დამოუკიდებლობამოპოვებულ ჩვენს ქვეყანას გადაუხდია. 1920 წლიდან გერმანიაში სასწავლებლად მივლინებული სიმონი ბერეჟიანი, ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში სწავლობდა. საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა, იგი სამუდამოდ დარჩა ემიგრაციაში. 1923 წლიდან პარიზში დასახლდა და ქართული ემიგრაციის საზოგადოებრივი, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილე გახდა. მისი შესანიშნავი პუბლიცისტური წერილები, ნაშრომები იბეჭდებოდა მისივე მონაწილეობით დაარსებულ ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციის „თეთრი გიორგის“ ამავე დასახელების გაზეთში. აქვე ქვეყნდებოდა მისი პოლიტიკური თემატის კარიკატურებიც. სიმონ ბერეჟიანი დამსახურებულად ითვლება ქართული პოლიტიკური კარიკატურის ერთ-ერთ ფუძემდებლად და საუკეთესო ოსტატად.



1941 წლიდან გერმანიაში ჩადის და ვერმახტის ქართული ლეგიონის წევრი ხდება. იგი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა 1942 წლის დეკემბერში. ერთი წლის შემდეგ ბერეჟიანი დოქტორ მარკოზ ტულუშის ვრცელი წინასიტყვაობით გამოიცა სიმონ ბერეჟიანის ლექსების კრებული. ამ დიდებული ქართველის უკანასკნელი ნატვრა გახლდათ მთაწმინდაზე ქართველს ოდესმე წაეკითხა მისი ვრცელი პოემა „პაემანი მთაწმინდაზე“.

* * *

პოეტის, საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და შესანიშნავი კარიკატურისტის სიმონ (სიმონია) ბერეჟიანის დაბადებიდან 120 წლის იუბილესთან დაკავშირებით რეზო თაბუკაშვილის სახელობის ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის დამაარსებელმა ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ 18 მარტს თბილისში მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, „პიონერ-ვილმის“ დარბაზში, თავისი რიგით 57-ე ლიტერატურული წარმოდგენა გამართა – „ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი“.

შესანიშნავი



სპექტაკლის შემდეგ დამსწრე საზოგადოება და სპექტაკლის მონაწილენი მთაწმინდის პანთეონისკენ გაეშურნენ, რათა საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავზე საზეიმო ფიცის დადების შემდეგ ხარაგაულები ჩოხოსანი რაინდებისთვის დასის ნევრობის მოწმობები გადაეცათ. ეს საპატიო მისია ჩოხოსან რაინდთა დასის მეთაურმა, პროფესორმა გოგი დოლიძემ შეასრულა. და დადგა წუთებიც, რათა აღსრულებულიყო ქართველი მამულიშვილის, სამშობლოსგან შორს, ემიგრაციაში დაღუპული სიმონ ბერეჟიანის უკანასკნელი ნატვრა. ოცმა ნორჩმა ჩოხოსანმა მთაწმინდის პანთეონში წაიკითხა ბევრისთვის დღემდე უცნობი პოემა „პაემანი მთაწმინდაზე“. ასე, დაუბრუნდა ემიგრანტი პოეტი და საზოგადო მოღვაწე სიმონ (სიმონია) ბერეჟიანი მშობლიურ ქვეყანას.

გამუშა ვაშაქიძე

ყველაფერი ყველაფერზე

უპირატესობა აქვს წითელს

ძალის მიერ შერჩეული პომადის ფერი ქვეცნობიერად მოქმედებს მამაკაცზე, უფრო სწორად კი მის ხელგაშლილობის უნარზე.



კერძოდ, შოტლანდიელ ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ მსუყე და ხასხასა წითელი ფერის პომადა მამაკაცს ქვეცნობიერად უბიძგებს ხელგაშლილობისკენ, დიდი ოდენობით ფულის დახარჯვისკენ.

ამ დამოკიდებულების დასადაგენად, მეცნიერებმა ასეთი ექსპერიმენტი ჩაატარეს: ერთ-ერთ კაფეში ოფიცინანტი ქალიშვილებს სხვადასხვა ელფერის, მათ შორის, ხასხასა წითელი პომადის ხმარება შესთავაზეს. რამდენიმე დღის განმავლობაში ქალიშვილები სხვადასხვა პომადას ხმარობდნენ, ანდა ტუჩებს საერთოდ არ იღებავდნენ. ამის შემდეგ, მკვლევარებმა შეადარეს სხვადასხვა დღეს ოფიცინანტებისთვის კლინტების მიერ საჩუქრად დატოვებული ფულის რაოდენობა. აღმოჩნდა, რომ პომადის ფერს არანაირი ზეგავლენა არ მოუხდენია მათთვის კლინტის ქალების მიერ დატოვებული ფულის ოდენობაზე. მამაკაცები კი უფრო მეტ ფულს ხასხასა წითელფერიან პომადიან ოფიცინანტებს ჩუქნიდნენ.

ფსიქოლოგები ამას იმით ხსნიან, რომ ქალის ტუჩებზე წითელი პომადა მამაკაცებში სექსუალურ ტკბობასთან, ასევე მისი პატრონის მაგარ ჯანმრთელობასთან ასოციაციას იწვევს.

ტკბილი ძილის ფასი




უძილობა მოციმციმე არითმიის საფრთხის განვითარების რისკს ზრდის.

ამერიკელმა კარდიოლოგებმა დაადგინეს, რომ ცუდი ძილი წნევის აწევისა და გასუქების, ასევე გულ-სისხლძარღვთა პრობლემების საკვანძო მომენტების განვითარების ალბათობას ზრდის.

პაციენტებს, ვისაც დღე-ღამეში რვა საათი ეძინა, მაგრამ ხშირ-ხშირად იღვიძებდნენ, არითმიის განვითარების ალბათობა 26 პროცენტით ეზრდებოდა.

ჩვენი სახიფათო „თანამელოზინი“

ბაღვიძებისთანავე ლოგინის განსწორებისას ჩვენ, თურმე საკუთარ ჯანმრთელობას... საფრთხეში ვაგდებთ, მაინც ბრიტანელ მედიკოსებს.



მეცნიერები განმარტავენ, რომ ისინი, ვინც ლოგინს გაღვიძების-თანავე ასწორებს, უნებლიეთ ხელსაყრელ გარემოს ქმნიან მტვრის ტკიპების გამრავლებისთვის. ამ მწერებს სითბო და ტენი უყვართ, რომლებიც ლოგინებში იზუდებენ, სადაც მათთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იქმნება, განსაკუთრებით ზაფხულობით, როცა ლოგინის თეთრეული ინტენსიურად იფლინდება ოფლით.

ექიმები გვასხენებენ, რომ მტვრის ტკიპები ექსტრემენტებს გამოყოფენ, რომლებსაც ბრონქიალური ასთმის, კონიუნქტივიტის, ალერგიული რინიტიისა და კანის დაავადებათა გამომწვევა შეუძლია.

ამიტომაც, ფეხზე ადგომის შემდეგ საჭიროა საბნის გადანევა, საძინებლის სულ მცირე ათი წუთის განმავლობაში განიავება და ლოგინის მხოლოდ ამის შემდეგ გასწორება. ალერგიული რეაქციების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ნალის მტვერსასრუტით რეგულარულად განმწმუნა, კვირაში ერთხელ მაინც თეთრეულის გამოცვლა, წელიწადში ორჯერ საბნებისა და ბალიშების გარეცხვა. ლოგინში საჭმლის ჭამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...

იკითხოთ და... ძილი ნახის!



წიგნების კითხვა უფრო სიკვდილის რისკს 23 პროცენტით ამცირებს.

ნაკითხობის ეფექტი იმით აიხსნება, რომ იგი სტრესის მდგომარეობას 68 პროცენტით ამცირებს. ნერვული დაძაბულობის მოსახსნელად და გულის რიტმის შესანელებლად საკმარისია 6 წუთის განმავლობაში კითხვა.

მკვლევარები იმასაც აღნიშნავენ, რომ კითხვა კარგად მოქმედებს ძილზეც. ამ შემთხვევაში მთავარი პირობა ისაა, რომ კაცმა ქალადღის და არა ელექტრონული წიგნი უნდა იკითხოს.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA სულხან-საბას ძ. №3 მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 293-13-34 599 36-00-35 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86; პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24

„საქართველოს რესპუბლიკა“ უნი ბაზითა, აუსილულად წაიკითხა!



უხსოვრი პაუზის კვანძი: აშშ ფონი - 2.4816; კვირა - 2.6704; ბრიტანული პირანა სტარლინგი - 3.0812; 100 რუბლი - 4.3181; თურქული ლირა - 0.6836; აზერბაიჯანული მანათი - 1.4398; 1000 სომხური დრამი - 5.1347.

აპრილი 22 მარტისთვის: ალმონეტის სპარტოპოლი: ბარი - ღამე -3, ღამე +15; პირანი რაიონები - ღამე -7, ღამე +10; დასავლეთი სპარტოპოლი: ბარი - ღამე 0, ღამე +12; პირანი რაიონები - ღამე -3, ღამე +9; თბილისი: ღამე +2, ღამე +13

დაგვიკავით, მოგვწერით: ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge